სარჩევი

რა არის ახალი 2

საცალო ინტერფეისში სერიებზე, რომელზეც ნაშთი არ ფიქსირდება ხილვადობის შეზღუდვა 2

ძირითადი საშუალებების დოკუმენტებში ჩასკანერება 3

გასწორებული შეცდომები 3

სხვა მოდიფიკაციები 4

ბალანსის რელიზი_1.3.10.2

06.03.2025

რა არის ახალი

საცალო ინტერფეისში სერიებზე, რომელზეც ნაშთი არ ფიქსირდება ხილვადობის შეზღუდვა

საცალო ინტერფეისში, პროდუქციისა და სერიების სიაზე დაემატა ნაშთების ღილაკი, რომლის საშუალებითაც შეგიძლიათ საცალო ინტერფეისიდან დაინახოთ ნომენკლატურებისა და სერიების ჭრილში მხოლოდ ისეთი პოზიციები, რომელზეც გიფიქსირდებათ თავისუფალი ნაშთი.



“მხოლოდ ნაშთები” ღილაკზე დაჭერით გამოგიჩნდებათ მხოლოდ ისეთი ნომენკლატურები, რომელზეც გიფიქსირდებათ ნაშთი.

თავისუფალი ნაშთების ფილტრის გამოყენება ასევე შესაძლებელია საცალო ინტერფეისში, სერიების სიაზე.

ძირითადი საშუალების დოკუმენტებში ჩასკანერება

ძირითადი საშუალებების დოკუმენტებში შესაძლებელია როგორც რაოდენობრივი, ისე ინდივიდუალური ძირითადი საშუალებების შტრიხკოდით ჩასკანერება : შესყიდვა, გაყიდვა, ჩამოწერა, გადაადგილება და ინვენტარიზაცია. რამდენჯერმე დასკანერებისას რაოდენობრივი ძირითადი საშუალების რაოდენობა გაიზრდება შესაბამისად.

გასწორებული შეცდომები

- გასწორებულია საცალო ინტერფეისში დიპლომატზე გაყიდვის დაფიქსირებისას ფასზე დღგ-ის თანხის არ დაკლების ხარვეზის გასწორება
- გასწორებულია ავანსის თანხის ავანსის ანგარიშზე გადატანის ხარვეზი როდესაც კონტრაგენტთან ვალუტაში ფიქსირდება ავანსი ხოლო ექვივალენტში დავალიანება
- გასწორებულია დაბრუნებული ხელფასის საპენსიოს გამოტანის ხარვეზი საშემოსავლო დეკლარაციის დანართ „ა“-ში
- გასწორებულია კომპლექტაციის რეპორტში რაოდენობების გამოტანისას მძიმის შემდეგ 4 ციფრის არ გამოჩენის ხარვეზი
- გასწორებულია ძირითადი საშუალების კოპირებისას ექსპლუატაციაში შესვლის თარიღის გადაყოლების ხარვეზი
- გასწორებულია ძირითადი საშუალების სიაზე ექსპლუატაციაში შესვლის თარიღის გამოტანის ხარვეზი
- გასწორებულია საპენსიო შენატანის ანგარიშებზე საწყისი ნაშთის დასმის ხარვეზი

- გასწორებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებასა და მოგება-ზარალის ანალიზში თვის შუა რიცხვით პერიოდის მოფილტვრის ხარვეზი
- გასწორებულია გაყიდვების დამხმარეში ცხელი ღილაკებიდან ნომენკლატურის დამატების ხარვეზი
- გასწორებულია განაცხადის დოკუმენტში ნაშთის დათვლის ხარვეზი როდესაც რამდენჯერმე ხდება საწყობებს შორის გადაადგილება
- გასწორებულია პროდუქციის გამოშვება და რეალიზაციის დოკუმენტში ავანსის დღგ-ის აღდგენის ხარვეზი
- გასწორებულია Inventory ლიცენზიით მიღებული ანგარიშ-ფაქტურების საფუძველს შესყიდვის დოკუმენტის შექმნის ხარვეზი

სხვა მოდიფიკაციები

- ანგარიშის ანალიზის ოპტიმიზაცია
- საქონლის ჩამოწერის დოკუმენტის გახსნის ოპტიმიზაცია
- დოკუმენტებში ძირითადი საშუალებების შტრიხკოდით დასკანერების შესაძლებლობა
- სავაჭრო წარმომადგენელზე მონაცემების ცვლილებისას დოკუმენტების გადატარების შეზღუდვის მოხსნა
- საცალო ინტერფეისში ნომენკლატურების ვიზუალური ძებნისას და სერიების არჩევის ფორმაზე მხოლოდ ნაშთში არსებული ელემენტების გამოტანის შესაძლებლობა
- მიღებული ანგარიშ-ფაქტურების ოპერაციის თვეზე ადრე პერიოდში ჩათვლის შეზღუდვა